



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ველისციხე



ველისციხე, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. ჭერმისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, თელავი-ბაკურციხის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. მ. დ. 380 მ, გურჯაანიდან 9 კმ, მუკუზნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 კმ. 6,4 ათ. მცხ. (2002). სოფელში არის ველისციხის სახალხო თეატრი. ვ. წყაროებში პირველად იხსენიება V ს-ში, როგორც ერთ-ერთი

ფორპოსტი ირანელთა აგრესიის წინააღმდეგ. იყო ჰერეთის პოლიტ. ცენტრი და მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე. მომდევნო საუკუნეებში დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა. VIII ს. მიწურულში ვ. და მისი საგამგეო ერთეული უკვე კახეთის სამთავროს მიეკუთვნება. განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდისათვის იგი კარგავს თავის პოლიტ. მნიშვნელობას. ვ. შედიოდა ჭერემის ეპარქიაში, 1757-იდან – ალავერდის სამწყსოში. შუა სოფელში შემორჩენილია ციხე-დარბაზისა და VI ს. ღვთისმშობლის სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები. ბაზილიკას 3 მხრიდან გარსემოსავლელი ჰქონდა (შემორჩენილია ფრაგმენტები). ჯერ კიდევ XVII ს-ში იგი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. ჩანს XIX ს. გადაკეთების კვალიც. რიყის ქვით ნაგები ციხე-დარბაზი IX-X სს. განეკუთვნება. შემორჩენილია ოთხკუთხა გალავნის, სასახლისა და სხვ. ნაგებობათა ნაშთი. სასახლე ორსართულიანი იყო, ზედა სართულზე ასასვლელი კიბე გარედან იყო მოწყობილი, მეორე სართულის დიდი დარბაზის აღმ. კედელში 4 დიდი სარკმელი ყოფილა. სასახლეს ბევრი რამ აქვს საერთო ნეკრესის, ჭერემის, ვანთის, კვეტერისა და იმ ხანების სხვა სასახლეებთან. სასახლის ახლოს ციხე-დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან დგას წმ. გიორგის ეკლესია, რ-იც სავარაუდოდ XVIII ს. ბოლო და XIX ს. დასაწყისს განეკუთვნება.

ლიტ.: Ч у б и н а ш в и л ი Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

მ. ბაღიაური

პ. შაქარაია

დ. მუსხელიშვილი
